საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/15

ქ. ბათუმი 10- თებერვალი, 2020 წ.

2020 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების მე-5 და მე-6 მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებისა და რექტორის მოადგილის, ნ. წიკლაშვილის 2020 წლის 07 თებერვლის MES 8 20 00154142 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით გამოცხადებული, ბსუ-ში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით შეიქმნას **საკონკურსო კომისიები** შემდეგი მიმართულებითა და შემადგენლობით:

1.1 ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებით:

ა) თამაზ ფუტკარაძე- ბსუ -ს ასოცირებული პროფესორი;

ბ) გიორგი თავამაიშვილი - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნ. თანამშრომელი;

გ) ციური ქათამაძე - ბსუ -ს ასოცირებული პროფესორი;

დ) დავით წულეისკირი - **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი;**

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.2 ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით:

ა) ეკატერინე ბახტაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

ბ) პაატა ჩაგანავა -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

გ) ირინე თავაძე-ბსუ-ს ასისტ. პროფესორი;

დ) აკაკი ბაკურაძე- ასოც. პროფესორი, **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;**

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.3 ინჟინერიის, ტექნოლოგიების და აგრარული მეცნიერებების მიმართულებით:

ა) გია ბოლქვაძე - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

ბ) ავთანდილ მესხიძე-ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

გ) მაია ტუღუში -ბსუ-ს ასისტ. პროფესორი;

დ) მაყვალა ფრუიძე- **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სასოც. პროფესორი;**

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.4. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით:**

ა) ირინა ბეჟანიძე -ბსუ-ს პროფესორი;

ბ) ნანა ზარნაძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

გ) ციცინო სარაჯიშვილი--ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

დ) დავით ნიშნიანიძე- **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი;**

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.5. **სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:**

ა) ირაკლი გორგილაძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

ბ) გულიკო კაჟაშვილი-სამართლის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი (ბათუმი);

გ) ლაშა ბაჟუნაიშვილი - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

დ) რუსლან ბარამიძე- -ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნი ე რ ი თანამშრომელი;

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.6. **მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები:**

ა) დათო ცეცხლაძე- ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

ბ) ვაჟა თედორაძე- ბსუ-ს ასისტ.პროფესორი;

გ) თამარ ბახტაძე - მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი (ბათუმი);

დ) თეონა გოგიტიძე - მედიცინის დოქტორი, ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი (ბათუმი);

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

1.7. **ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულებით:**

ა) თამაზ ფუტკარაძე-ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

ბ) ნანა ზარნაძე - ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

გ) ავთანდილ მესხიძე - -ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

დ) ირაკლი გორგილაძე -ბსუ-ს ასოც. პროფესორი;

ე) გურამ გვარიშვილი - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი.

2. **თითოეული საკონკურსო კომისიის მიერ შესაძლებელია თანდართული ფორმის (დანართი 1) შესაბამისად შერჩეულ იქნეს:**

ა) შესაბამისი მიმართულებით წარმოდგენილი პროექტი (პროექტები) - არაუმეტეს 20 000 ლარის ღირებულებით;

ბ) შესაბამისი მიმართულებით ახალგაზრდა მკვლევართა (პირი, რომელსაც აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანების თარიღიდან ბოლო შვიდი

წლის პერიოდში) მიერ წარმოდგენილი პროექტი (პროექტები) - არაუმეტეს 10 000 ლარის ღირებულებით.

3. იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მიმართულებით არ გამოვლინდა გამარჯვებული პროექტი, ამ ბრძანებით განსაზღვრული საკონკურსო კომისიების წევრთა უმრავლესობით (თითოეული კომისიიდან, გარდა ინტერდისციპლინური კომისიისა, სავალდებულოა არანაკლებ კომისიის 3 წევრის მონაწილეობა) შერჩეულ იქნეს (გამოვლინდეს გამარჯვებული) პროექტი/პროექტები, რომელთაც შესაბამისი მიმართულებით ჩატარებულ კონკურსში მიღებული აქვთ გამარჯვებული პროექტების შემდგომ უფრო მაღალი შეფასება (კომპონენტების საერთო შეფასებიდან არანაკლებ 85 ქულისა). კომისიის გაერთიანებულ სხდომას შესაძლებელია დაესწროს რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რექტორის მოადგილეები, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი.
4. კომისიის წევრთა სამუშაო პერიოდი განისაზღვროს **2020 წლის 10 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით.**
5. კომისიამ იხელმძღვანელოს ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულებით, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით.
6. ეთხოვოს რექტორის მოადგილეს (ნ. წიკლაშვილს) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ა. მითაიშვილს) უზრუნველყონ კომისიის წევრებთან **დანართი 2**-ით განსაზღვრული **შრომითი ხელშეკრულებების** გაფორმების ორგანიზება.
7. ეთხოვოს რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, **სამეცნიერო კვლევების სამსახურს** (დებულების მოთხოვნების მიმართულებით), **რექტორის აპარატს** (საორგანიზაციო მიმართულებით), **საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს** (პროექტების ბიუჯეტის მიმართულებით) და **იურიდიული დეპარტამენტს** (სამართლებრივი პროცედურების მიმართულებით), **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს** (ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების მიმართულებით), **ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს** (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზებისათვის), თვიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ საკონკურსო კომისიებისათვის შესაბამისი კონსულტაციების/დახმარების გაწევა.
8. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, იურიდიული დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს და კომისიის წევრებს (ბსუ-ს წევრებს).
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,2020 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის

2020 წლის 10 თებერვლის N 01-02/15 ბრძანების **დანართი 1**

	კრიტერიუმების დასახელება	**ქულა (100)**
1	**კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები**	0-25
1.1.	პრობლემის აქტუალობა და კვლევის სიახლე	
1.2.	კვლევის მიზანი და ამოცანები	
2	**მოსალოდნელი შედეგები და მდგრადობა**	0-25
3	**პროექტის პერსონალის კომპეტენტურობა** (პროფესიული განათლება და კვალიფიკაცია)	0-25
4	**პროექტის მართვა** (პროექტში დაგეგმილი ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსების შესაბამისობა პროექტის განხორციელების პერიოდთან, მიზანსა და ამოცანებთან)	0-25

,,2020 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 10 თებერვლის N01-02/15 ბრძანების

დანართი 2

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი ,,-------" ---------- 2020 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „უნივერსიტეტი"/,,დამსაქმებელი") წარმოდგენილი რექტორის, ასოცირებულ პროფესორ მერაბ ხალვაშის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ალექსანდრე მითაიშვილის მიერ და მეორე მხრივ ---------- (შემდეგში ,,დასაქმებული"/„კომისიის წევრი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

ხელშეკრულების საგანია ---------- ბრძანების საფუძველზე მოწვეული კომისიის წევრის უფლებამოსილების 2019 წლის 10 თებერვლიდან 12 თებერვლის ჩათვლით პერიოდში განხორციელება.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. **უნივერსიტეტი:**

2.1.1. უფლებამოსილია მოსთხოვოს კომისიის წევრს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის № 36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების", „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის №01-02/215 ბრძანებით, ასევე 2020 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლეკითი პროექტების შერჩევის მიზნით საკონკურსო **კომისიების** შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 7 თებერვლის ბრძანების შესრულება;

2.1.2. ვალდებულია უზრუნველყოს კომისიის წევრი შრომის სათანადო პირობებით და გასცეს შრომის ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით;

2.2. **კომისიის წევრი:**

2.2.1. ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტში აღნიშნული ბსუ-ს სამართლებრივი აქტების, შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, წინამდებარე ხელშეკრულებისა და დამსაქმებლის შინაგანაწესის მოთხოვნები;

2.2.2. ვალდებულია გაუფრთხილდეს დამსაქმებლის ქონებას;

2.2.3. უფლებამოსილია სამუშაოს შესრულების შემდეგ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

3. შრომის ანაზღაურება

უნივერსიტეტი ამ ხელშეკრულებით შესრულებული სამუშაოსათვის დასაქმებულს/კომისიის წევრს აუნაზღაურებს ---------- ლარს, რექტორის მოადგილის, ქალბატონი ნათელა წიკლაშვილის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ.

4. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. დასაქმებული უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება:

ა) მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც აბრკოლებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას;

ბ) დამსაქმებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შრომის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში;

4.2. დამსაქმებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება:

ა) თუ გამოვლინდა, რომ დასაქმებული არ შეესაბამება შესასრულებელ სამუშაოს არასაკმარისი კვალიფიკაციისა ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო;

ბ) დასაქმებულის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში;

4.3 მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება აგრეთვე იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მაგრამ გამომდინარეობს საქართველოს შრომის კანონმდებლობიდან ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ცალად და ინახება მხარეებთან (ორი ბსუ-ში, ხოლო ერთი - დასაქმებულთან).

5.2. მხარეთა რეკვიზიტები:

,,უნივერსიტეტი“	,,კომისიის წევრი“
რექტორი, ასოც. პროფესორი,	მისამართი: ----------
მერაბ ხალვაში	პ/ნ №----------;
_____	ტელ: ----------;
	ელ. ფოსტა ----------
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	
ალექსანდრე მითაიშვილი	----------